დანართი №4

უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

სამაგისტრო პროგრამა **„საზოგადოებრივი ჯანდაცვა“**

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

დასკვნის წარდგენის თარიღი

21 თებერვალი 2023

დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის,საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებითგათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის შეფსება.

ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეულიმეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

წარმოდგენილი ანგარიში შედგენილი და დამუშავებულია მოწოდებული პრინციპების დაცვით. კერძოდ:

შესწავლილ იქნა აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის, ასევე აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებებსა და დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და რჩევები, მოხდა ანალიზი.

თსსუ-ს მიერ გამოყენებულ იქნა რეკომენდაციების შესწავლისა და ანალიზის, ასვე მაგისტრანტის/სტუდენტის, დამსაქმებლების გადაწყვეტილებებში ჩართულობის მექანიზმი. ცვლილებები წარმოდგენილია მტკიცებულებებით პროგრამისა და სილაბუსების, ოქმების სახით. ანაგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება მოხდა დოკუმენტებით მოწოდებული მასალების შესწავლისა და გადაწყვეტილებების სისწორის, შესაბამისობის შეფასების გზით.

ექსპერტი

სახელი თამარ

გვარი ლობჯანიძე

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
დაწესებულების სახე	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211328703

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	საზოგადოებრივი ჯანდაცვა
2	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3	კვალიფიკაციის დონე[2]	დონე 7
4	კვალიფიკაციის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი
5	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3]	
6	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4]	საზოგადოებრივიჯანდაცვა 0919.1.1
7	სწავლების ენა	ქართული

[1]დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2]ეროვნულიკვალიფიკაციებისჩარჩოსმიხედვით
[3]მასწავლებლისმომზადებისინტეგრირებულისაბაკალავრო-სამაგისტროსაგანმანათლებლოპროგრამისშემთხვევაში
[4]განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)

8	ECTS კრედიტების რაოდენობა	120 კრედიტი
9	განხორციელების ადგილი[5]	საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 29, სასწალო კორპუსი 1.
10	საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული 2021 წლის 21 დეკემბრის № MES 0 21 0001398795 (1398795 https://eqe.ge/ka/deqars/397/show)
11	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2021 წლის 21 დეკემბერს.
12	საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი	2022 წლის 21 დეკემბერი
13	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	21.12.2028

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამებისაკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

[5]ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. რეკომენდებულია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის მიზანში გამოიკვეთოს, თუ რა ცოდნისა და უნარების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა.
2. რეკომენდებულია, დაზუსტდეს პროგრამაზე არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონეა პლიკანტებისთვის პროგრამაზე მიღების წინაპირობები
3. პროგრამაში აქტიურად იქნეს გამოყენებული ანალიტიკური უნარების გამომუშავებისთვის სწავლება-სწავლის მეთოდთა მეტი მრავალფეროვნება (გონებრივი იერიში, დედუქცია-ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, სოკრატესეული, კრიტიკული ანალიზი და სხვა)..
4. რეკომენდებულია პრაქტიკისა და კვლევით ბაზებთან ხელშეკრულებებში პრაქტიკის მიზნებისა და მათ ბაზაზე დაშვებული სავარაუდო კონტიგენტის მითითება.
5. რეკომენდებულია პროფესორ-მასწავლებელთათვის მეტი ეფექტურობითა და ინტენსივობით პროფესიული ტრენინგების შეთავაზება-გავლა, ამ მიზნით კი ინსტიტუციის მიერ სრული მხარდაჭერა და წახალისების სისტემის ფორმირება.
6. კურიკულუმის ეფექტური განვითარების მიზნით როგორც შიდა ასევე გარეხარისხის მონიტორიგისა და სათანადო რეაგირების ღონისძიებების განხორციელების მიზნობრივი პერიოდულობა.

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ ანგარიში წარმოდგენილია დროულად, იგი თარიღდება 2022 წლის 19 დეკემბერით, ხოლო აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით ანგარიშის წარმოდგენის თარიღად განსაზღვრული იყო 2021 წლის 21 დეკემბრი /№1398751 სხდომის ოქმის №5 ნაწილი / . ინსტიტუცია რეკომენდაციების შესრულებას მიუდგა გუნდური პრინციპით, 2022 წლის 18 მარტს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე დაამტკიცა თვითშეფასების სამუშაო ჯგუფი: მარინა ციმაკურიძე - ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი; ლევან ბარამიძე - პროფესორი, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი; დავით გელოვანი - ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსი, ეკატერინე მირველაშვილი - ასოცირებული პროფესორი, სამაგისტრო პროგრამის განმახორციელებელი, ქეთევან არახამია - პროგრამის კურსდამთავრებული, მარიამ სიქთურაშვილი - მაგისტრანტი, ირმა ხაბაზი - დამსაქმებელი. მათ მიერ გაანალიზდა თითოეული რეკომენდაცია, მოახდინა გადაწყვეტის გზების დაგეგმვა-განხორციელება და შესაბამისად წარმოადგინა ანგარიში. აღნიშნული წარმოდგენილია შესაბამისი ოქმის სახით. პროგრამის შინაარსობრივი ნაწილიდან გამომდინარე მიზანშეწონილად იქნა ჩათვლილი პროგრამის ფოკუსირება ჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტებზე, მიზანში გამოკვეთილია ცოდნისა და უნარების არეები, სწავლა-სწვლების მეთოდების მრავალფეროვნება შესაბამის თემატიკებთან და სკითხების შესწავლასთან, უნარების გამომუშავებასთან მიმართებაში, ფორმირებულია პრაქტიკის ბაზებთან გამჭირვალე და თემატური ხელშეკრულებები, პროფესორ-მასწავლებებისთვის მოწოდებულია (მაგალითად 2023-24 წელი) უპგ ტრენინგ-პროგრამა და მათზე დასწრების ხელშეწყობა, რაც მოტივატორია შემდგომი განვითარების, ასევე შექმნილია პროგრამის განვითარების გარე და შიდა შეფასების პერიოდიკა და შესრულების ანგარიშის განხილვები. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით მოწოდებულ მეორე სტანდარტში /2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა/ მიზანშეწონილია შეფასდეს როგორც „სრული შესაბამისობა“

---

[7]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

რჩევ(ებ)ი[8]

MES 0210001398795 2021 წლის 21 დეკემბრის დოკუმენტში: „სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ რჩევები საოქმო გადაწყვეტილებაში არ არის მოცემული, რჩევის ნაწილში წარმოდგენილია რეკომენდაციები / ალბათ ტექნიკური ხარვეზია/

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

„სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ რეკომენდაციები სრულად არის გათვალისწინებული, წარმოდგენილია გადაწყვეტილებების შესაბამისობა და პროცესის მიმდინარეობა შესაბამისი და სათანადო დოკუმენტებით.

დამატებითი ინფორმაცია[10]---

რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ისგათვალისწინების შესახებ[11]

სტანდარტის დასახელება[12]	1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა
კომპონენტის დასახელება[13]	1.1. პროგრამის მიზნები
რეკომენდაცია I[14]	რეკომენდებულია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის მიზანში გამოიკვეთოს, თუ რა

[8]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

[9]საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10]საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

[11]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით

[12]სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[13]კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

[14]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	ცოდნისა და უნარების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა.
შეფასება	პროგრამის მიზანი წარმოდგენილია ცვლილებით, სადაც მეტად გამოკვეთილია თუ რა ცოდნისა და უნარების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა. კერძოდ: ცოდნა და უნარი იმისა თუ რა ჯანმრთელობის საჭიროებების შესაბამისი მონაცემების რეგულარული და სისტემური შეგროვება, ანალიზი და ინფორმაციის გენერირებაა მნიშვნელოვანი და აუცილებელი; ასევე სრულყოფილი, მტკიცებულებებზე დამყარებული, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება და გატარება; მოსახლეობისათვის საჭირო სერვისების მიწოდება სერვისების დაგეგმვის შესაბამისი ორგანიზების უზრუნველყოფით. რაც განსხვავდება წინა პროგრამის მიზნისგან. რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა[15]I	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	სამაგისტრო პროგრამა "საზოგადოებრივი ჯანდაცვა" უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
რეკომენდაცია II[16]	რეკომენდებულია, დაზუსტდეს პროგრამაზე არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტებისთვის პროგრამაზე მიღების წინაპირობები

[15]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[16]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	განხორციელდა ცვლილება და განისაზღვრა, რომ სამაგისტრო პროგრამაზე „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ მიიღებიან მხოლოდ ჯანდაცვის სფეროს კურსდამთავრებულები. შესაბამისად, პროგრამაზე განისაზღვრა არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტების პირობაც. „... პროგრამაზე დაშვება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესისა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული მაგისტრატურის შესახებ დებულებით: მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს მინიმუმ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის ან მაგისტრთან გათანაბრებული აკადემიურ ხარისხის მქონე პირებს ჯანდაცვის სფეროში“ საკითხის მოწოდებული სახით გადაწყვეტა განპირობებულია პროგრამის შინაარსობრივი წყობითა და სიღრმით. რეკომენდაცია შესრულებულია.
რჩევა[17]II	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	სამაგისტრო პროგრამა “საზოგადოებრივი ჯანდაცვა“, უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები
რეკომენდაცია III[18]	პროგრამაში აქტიურად იქნეს გამოყენებული ანალიტიკური უნარების გამომუშავებისთვის სწავლება-სწავლის მეთოდთა მეტი მრავალფეროვნება (გონებრივი იერიში, დედუქცია-ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, სოკრატესეული, კრიტიკული ანალიზი და სხვა)..
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. განხორციელდა ცვლილება, პროგრამა გამდიდრებულია შესაბამისი სწავლების მეთოდებით. კერძოდ, აღნიშნული

[17]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

[18]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

	მეთოდები წარმოდგენილია საგნების სილაბუსებში: "საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკა და ჯანდაცვის პოლიტიკის ანალიზი", "ანალიტიკური მეთოდები საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის - საზოგადოებრივი ჯანდაცვს პროგრამების მონიტორინგი და შეფასება (მ&შ) , ხარისხობრივი კვლევის მეთოდები საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის". სწავლების მეთოდების მიზნობრივი მრავალფეროვნება მნიშვნელოვანია სილაბუსით და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგებზე ეფექტური გასვლისათვის. შესაბამისად, კომპეტენციების ფორმირებისათვის მაგალითად სილაბუსში "ანალიტიკური მეთოდები საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის-საზოგადოებრივი ჯანდაცვს პროგრამების მონიტორინგი და შეფასება (მ&შ), ხარისხობრივი კვლევის მეთოდები საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის, დისკუსიები, სიტუაციური ამოცანების დამუშავება, ინდუქციური მეთოდი, დედუქციური მეთოდი -წარმოდგნილია სწავლებების მეთოდებში. მაგალითად, ერთ-ერთი სწავლების მეთოდი „ინდუქცია „ მოიცავს ზოგად ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს, ანუ პროცესი წარმოებს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. ხოლო დედუქცია პირიქით. აღნიშნული ხელს უწყობს ცოდნის გაღრმავება-განმტკიცებას, საკითხის ეტაპობრივად, ანალიტიკურ გააზრებას.
რჩევა[19]III	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	სამაგისტრო პროგრამა "საზოგადოებრივი ჯანდაცვა" უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში სილაბუსები : "საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკა და ჯანდაცვის პოლიტიკის ანალიზი", "ანალიტიკური მეთოდები საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის -საზოგადოებრივი ჯანდაცვს პროგრამების მონიტორინგი და შეფასება (მ&შ) , ხარისხობრივი კვლევის მეთოდები საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის".

[19]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

სტანდარტის დასახელება	2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა
კომპონენტის დასახელება	2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
რეკომენდაცია IV[20]	რეკომენდებულია პრაქტიკისა და კვლევით ბაზებთან ხელშეკრულებებში პრაქტიკის მიზნებისა და მათ ბაზაზე დაშვებული სავარაუდო კონტიგენტის მითითება.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. განხორციელდა ცვლილება, შემუშავდა სპეციალური შეთანხმების ფორმა, სადაც წარმოდგენილია პრაქტიკის სილაბუსით განსაზღვრული მიზნები, ასევე მაგისტრანტების დაშვების სავარაუდო რაოდენობა. ფორმა საშუალებას იძლევა გათვლილ და შეფასებულ იქნეს პროგრამის სილაბუსით განსაზღვრული პრაქტიკულ საკითხების გავლასთან დაკავშირებული შესაძლებები და მიზნობრიობა.
რჩევა[21]IV	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში სილაბუსი:“პროფესიული პრაქტიკა” შეთანხმებები: შპს აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახლეობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“-სთან , ააიპი „სამედიცინო-ეკონომიკურ და კულტურულ საკითხთა ცენტრი ურანტი“

სტანდარტის დასახელება	4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა კომპონენტის დასახელება
კომპონენტის დასახელება	4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

[20]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

[21]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

	უნარების განვითარება
რეკომენდაცია V[22]	რეკომენდებულია პროფესორ-მასწავლებელთათვის მეტი ეფექტურობითა და ინტენსივობით პროფესიული ტრენინგების შეთავაზება-გავლა, ამ მიზნით კი ინსტიტუციის მიერ სრული მხარდაჭერა და წახალისების სისტემის ფორმირება.
შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. უწყვეტი პროფესიული განათლების ხელშეწყობის მიზნით გაკეთდა პროგრამის ადამიანური რესუურსის ტრენინგების გეგმა -გრაფიკი, რომლის განხორციელებას ეტაპობრივად უზრუნველყოფს ინსტიტუტცია. კერძოდ, მოწოდებლია უპგ-ს ფორმატში პროფესორ-მასწავლებელთა დარგობრივი ტრენინგების განაწილება 2023-2024 წლებზე ინსტიტუციის ხელშეწყობით, რაც წარმოადგენს ადამიანური რესურსის კარგ მოტივაციას შემდგომი განვითარებისთვის.
რჩევა[23]II	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში გეგმა-განრიგი

სტანდარტის დასახელება	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები
კომპონენტის დასახელება	5.1 შიდა ხარისხის შეფასება; 5.2 გარე ხარისხის შეფასება
რეკომენდაცია VI[24]	კურიკულუმის ეფექტური განვითარების მიზნით როგორც შიდა, ასევე გარე ხარისხის მონიტორიგისა და სათანადო რეაგირების ღონისძიებების განხორციელების მიზნობრივი პერიოდულობა.

[22]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[23]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[24]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

შეფასება	რეკომენდაცია შესრულებულია. შემუშავებულია როგორც შიდა, ასევე გარე ხარისხის მონიტორინგის გეგმა, რეაგირების ღონისძიებების პერიოდულობით. აღნიშნული მოიცავს პროგრამის როგორც სტუდენტის მხრივ, ასევე პერსონალის შეფასებებს, გარე შეფასება - დარგობრივი პროფესიონალების მიერ.
რჩევა[25]VI	-
შეფასება	-
მტკიცებულებ(ები)ა	უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში გეგმა გარე და შიდა შეფასებების მიზნობრივი პერიოდულობის თაობაზე

თანდართული დოკუმენტაცია[26]

1. უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში გვ. 16

2. ხარისხის გეგმა გარე და შიდა შეფასებების მიზნობრივი პერიოდულობის თაობაზე გვ 1

3. სამაგისტრო პროგრამის „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ აკადემიური პერსონალის უპგ გავლის შეთავაზებული გეგმა -განრიგი გვ 1

4. შეთანხება - შპს აკადემიკოს ნიკოლოზ ყიფშიძის სახლეობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა“-სთან , გვ 2

5. შეთანხმება - ააიპი „სამედიცინო-ეკონომიკურ და კულტურულ საკითხთა ცენტრი ურანტი“თან გვ 2

6. სამაგისტრო პროგრამა “საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ გვ 19

7. სილაბუსი : “საზოგადოებრივი ჯანდაცვის პოლიტიკა და ჯანდაცვის პოლიტიკის ანალიზი” გვ 14

8. სილაბუსი: “ანალიტიკური მეთოდები საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის -საზოგადოებრივი ჯანდაცვს პროგრამების მონიტორინგი და შეფასება (მ&შ) , ხარისხობრივი კვლევის მეთოდები საზოგადოებრივი ჯანდაცვისათვის”. გვ 14

9. სილაბუსი:“პროფესიული პრაქტიკა” გვ 20

[25]საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[26]თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა

10. 21/12/2021 წ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის'' სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ გვ 5

ექსპერტის ხელმოწერა